**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 137 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 137

**წლ ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**
1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწ რის დროს—3 მ., მარტის — 3 მ. თიბათვის 1-ს—2 ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


## რედაქციისაგან

**პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან. 50 კაპ.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარედ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.


მყიდველთათვის საინტერესო

# მიწა ავჭალაში

ტფილისის წყლის მილის გვერდით 19 კაპიკიდამ 1 მანეთამდე ჩორსი საჟენი. ადრესი: მიხეილის პროსპექტი, 148/в., ეჯუბოვის სახლში, შუა სართულში, საღამოს 3 საათიდამ 5-მდე. კვირაობით დილიდან საღამომდის შეიძლება დათვალიერება მიწისა ავჭალაში (მეორე ფარდული ავჭალიდამ ტფილისისაკენ).

(2—208—2),

გამოვიდა და ისყიდება

# კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

ვიღებ საეკლესიო **პანკელე-ჩის სამხატვრო საქმეებს**. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ყანჩაველს.

(15—11)

# ისყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან**.

(5—5).


ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით ამიერიდგან მიიღება ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად აწ განსვენებულის დიდი მთავრინასი ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის ასაგებად ტფილისში.

(3—6.—3)


გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# ბებანა

2.

# ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ· Общество распрстр. грамотности.

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დასურათებული

# ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური·

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანთკის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ**. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

# პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა

**მ. გ. აზეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წ.

# კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ღალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ· იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 **ს.** სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)


# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

უცხოელების აზრი —რატომ ვეი ხაი-ვეი არ გაუმაგრებიათ ინგლისელებს.—კიდევ ვაფანგოუს ომის ამბავი.—კუნძულ სახალინის მომავალი.—პოლონელები და ომი.—წვრილი ცნობები.

ერთი ცნობილი ინგლისელი გენერალი ამბობს, ინგლისის პატარა მეგობრის მოქმედებაში რამდენიმე შეცდომა შევნიშნეთო.

«იაპონელების ჯარი 250 მილის მანძილზე არის გამწკრივებული პორტ-არტურიდგან ფინ-ხუან-ჩენისკენ. ეს ადგილი სულ მთა-ბარიანია, ოსწორ-მასწორო და უგზო-უკვლო. ამის გამო იაპონიის ჯარი დანაწილებულია და განცალკევებული, ერთი მეორეს მალე ვერ მიეშველება და ვერ დაეხმარება გაჭირვების დროს. შესაძლოა, გენერალ კუროკის შეტაკება მოუხდეს რუსების ძლიერ ლაშქართან, რომელიც შეგროვილია ხარბინსა და მუკდენს შორის.

მეორე არა სასურველ გარემოებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ იაპონელებს გადაწყვეტილი აქვთ, პორტ-არტური უთუოდ აიღონ, და ამ ციხეზე დიდი ჯარი დაუბანდებიათ. მართალია, ციხე რომ აიღონ, იქ დიდს ჯარს არ დასტოვებენ და პორტ-არტურს დიდი მნიშვნელობა ექმნება ამ ომში; მაგრამ მაინც პორტ-არტურთან მრავალი ჯარი არ უნდა დაებანდებინათ. ეს დიდი შეცდომაა. ამით იაპონელებმა თავის ლაშქრებს სხვა და სხვა საქმე გაუჩინეს და ერთად ვეღარ ამოქმედებენ.

თუ რომ გენერალ კუროპატკინს სამხედრო გენიოსობამ არ უმტყუნა, ამ მცირე ხანში ქვეყნიერობა კვალად დარწმუნდება, რამდენად საშიშია სამხედრო ხელოვნების კანონების დარღვევა (ნ. ვ.).

—

ინგლისელებს ძალიან გაჰკვირვებიათ ვლადივოსტოკის ესკადრის გაბედულობა. რაინდულ ამბავს ინგლისელები სიამოვნებით მიეგებნენ, — ამბობს გაზეთი «ტაიმსი»,—თუმცა ვლადივოსტოკის ესკადრა კორეის ყურეში ბევრს ვერას გახდებაო. რამდენსამე სავაჭრო გემს თუ დააზიანებს და დაიჭერს, თორემ სხვა არა შეუძლიან-რა, და ამისათვის არც კი ღირს, რომ ისედაც შესუსტებულმა რუსის ფლოტმა რამდენიმე კრეისერი საეჭვო საქმეზე მოაცდინოს.

გაზეთი «სტანდარდი»-კი იმ აზრისაა, რომ ადმირალი სკრიდლოვი არ უნდა ერიდებოდეს მტრის ესკადრას. თუ რომ ამ გზობით მტერთან შეხვედრა არ უნდოდა და მხოლოდ ტრანსპორტების დასაჭერად გამოგზავნა ესკადრა, ესეც მოსაწონი საქმეა.

კონტრ-ადმირალი ინგლისი «დეილი ტელ»-ში ამბობს, ვლადივოსტოკის ესკადრის სამი კრეისერი სწორედ იმ საქმეში არის გამოსადეგი, რომელიც ადმირალმა სკრიდლოვმა დაავალა, კორეის სრუტეში რომ გზავნიდა. ამ გემებზე კარგი ძლიერი ზარბაზნებია, ხოლო მოსაგერებლად არ ვარგანან, რადგან შესაფერი სისქე არა აქვთ და ამასთანავე მეზღვაურთათვის საფარი არ არის გაკეთებული, რომ მტრის ყუმბარამ არა დაუშავოთ-რა. არა მგონია, რომ ადმირალ სკრიდლოვს კრეისერები პორტ-არტურისკენ გაეგზავნოს. უფრო საფიქრებელია, რომ ესკადრას დავალებული ჰქონდა შემუსროს ზღვაზე სავაჭრო და სამხედრო გემები, რაც კი წინ დახვდება. რუსეთს ძლიერი ფლოტი ჰყავს ბალტიის ზღვაზე და ამიტომ ადვილად გამოიმეტებს რამდენსამე კრეისერსა და ნაღმოსანს, ოღონდ-კი იაპონელების სამხედრო გემებიც დააზიანოს და დაღუპოს («ნოვოსტი»).

—

რატომ არ გაუმაგრებიათ ინგლისელებს ვეი-ჰაი-ვეი და რად იღებენ ხელს, უკეთუ რუსებმა პორტ-არტური დაჰკარგეს? ამის პასუხს ბელგიური გაზეთი იუწყება:

როდესაც რუსებმა პორტ-არტური დაიჭირეს, ინგლისმაც მოსთხოვა ჩინეთს, რომ ერთი ნავთსადგური იმისთვისაც დაეთმო, სადაც ციხე-სიმაგრე აეშენებინა და თავის სამხედრო გემები დაეყენებინა იმ შემთხვევისთვის, თუ რუსეთთან ომი მოუხდებოდა. ამ განზრახვისათვის ვეი-ჰაი-ვეი სწორედ ზედ-გამოჭრილია. პორტ-არტურის პირდაპირ არის, 250 მილის სიშორეზე. ჩაიგდეს თუ არა ხელში ვეი-ჰაი-ვეი, ინგლისელებმა მაშინვე დაიწყეს ციხე-სიმაგრის მოწყობა და ბლომა ფულიც ჩაჰყარეს, მაგრამ ამ ორის წლის წინად მუშაობა შეაჩერეს და სრულიად შესწყვიტეს. ამის გამო პარლამენტშიც იყო ლაპარაკი და მინისტრებმა განუცხადეს, ვეი-ჰაი-ვეი უვარგისი ნავთსადგური ყოფილა და ციხე-სიმაგრედ არ გამოგვადგებაო. თუმცა მწერლობა ჰკიცხავდა ამის გამო მთავრობას, მაგრამ მინისტრებმა ყური მოიყრუეს და ვეი-ჰაი-ვეი სავაჭრო ნავთსადგურად გადააკეთეს.

მხოლოდ ეხლა გამოირკვა, რად მოიქცა ესე ინგლისის მთავრობა. თურმე იაპონიას მაშინადვე უცნობებია ინგლისის მთავრობისათვის, რუსებს არ ვაბოგინებთ პორტ-არტურშიო. ინგლისიც დარწმუნდა, რომ ტყუილ ხარჯს გასწევს ვეი-ჰაი-ვეის გამაგრებაზე, რადგან, თუ იაპონია რუსებს ხელს აღებინებს პორტ-არტურზე, ინგლისიც მოვალე იქნება ვეი-ჰაი-ვეი მიატოვოს. ამ რიგად ინგლისმა თურმე იცოდა იაპონიის განზრახვა და მაშინაც-კი აქეზებდა რუსეთის წინაღმდეგ, როდესაც საკავშირო ხელშეკრულობა ჯერ დადებული არა ჰქონდათ (ნოვ.).

—

პეკინში ახალი გაზეთი დაუარსებიათ ჩინურს ენაზედ, რომელსაც ის დანიშნულება აქვს, რომ უტყუარი ცნობები ჰბეჭდოს რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ. გაზეთს ეწოდება «იანდუ-ბაო», ანუ «სატახტო ქალაქის გაზეთი». რედაქტორად დ. მ. პოზდნეევი იქმნება, რუსეთ-ჩინეთის ბანკის დირექტორი (პ. ვ.)

—

როდესაც რუსის ჯარს ვაფანგოუსთან 2 ივნისს იაპონიის არტილერიამ საქმე გაუჭირა და უკან დააწევინა, იაპონელების ჯარი გადაელობა და გზის გადაჭრას სცდილობდა. რუსისა და იაპონიის ქვეითი ჯარი იმდონად დაუახლოვდნენ ერთმანერთს, რომ რუსები ხელ და ხელ შეტაკებას აპირობდნენ, მაგრამ იაპონელები მოერიდნენ. რუსებმა თავის წინანდელ ბინას მიაშურეს. წინ მაღლობზე ჯარი იყო. რუსებს ეგონათ, ეს ჩვენი ჯარიაო, და იმედი მიეცათ. ზურგში ყუმბარებსა სცემდნენ და ამავე დროს წინიდგანაც თოფი დაუშინეს, ორ ცეცხლს შუა მომწყვდეული რუსის ჯარი ძალიან დაზიანდა. იაპონელ აფიცრებსაც თოფები ეჭირათ და რუსის აფიცრებს უმიზნებდნენ. ერთს ბატარეიას ტყვია-ყუმბარა სეტყვასავით დააყარეს. მეზარბაზნეები თითქმის სულ დახოცეს და ცხენები ხომ გაჟლიტეს. ჩვენებმა ზარბაზნები მიატოვეს, ხოლო კლიტეები კი ააცალეს. (რ. ვ.).

—

«ფრანკფ. ცეიტუნგის» სიტყვით იაპონიაში დაარსებულა ახალი საზოგადოება «სახალინის აღმდგენელი». იაპონელები დარწმუნებულნი არიან, რომ სახალინი ომის შემდეგ იმათ დარჩებათ და ეხლავე თადარიგს შესდგომიან, როგორ მოაწყონ ეს კუნძული. ახალ საზოგადოებას განუძრახავს კუნძულზე იაპონე ები დაასახლოს, მეთევზეობა ხელთ ს, მადნები შეიმუშაოს და სხვ. ამ საზ დოებას ინგლისელებისაგან დიდი სასარგო გემი უქირავნიათ, რომლითაც კუნძულზე უნდა გადიყვანონ ის იაპონელები, რომლებიც იქიდგან გამოქცეულან ომის გამო. იაპონელებს სახალინიდგან დიდძალი თევზი გაჰქონდათ, შარშან ერთ მილიონ იენზე მეტი უსარგებლნიათ და იმედი აქვთ, შემოსავალი შემდეგში ერთი ათად იმატებს. რადგან ეს შემოსავალი ეხლა სრულიად მოისპო, იაპონელები სთხოვენ თავის მთავრობას, კუნძული სახალინი ეხლავე დაიჭიროს, ან არა და ნება მისცეს შეიარაღებული გემები გაგზავნოს სათევზაოდ სახალინის ნაპირებზე. («ნოვოსტი».)

—

კრაკოვში დაუბეჭდიათ ახალი წიგნაკი «ომის გამო» (ხმა ვარშავიდგან), რომელშიაც ავტორი ურჩევს პოლონელებს, როგორ უნდა მოიქცნენ ომის გამო.

იაპონელების გამარჯვების ამბებმა ძალიან აღაფრთოვანა პოლონელები, რომლებსაც სასიამოვნოდ დარჩათ, რომ «რუსეთის ამაყობას ფრთა შეეკვეცა».

ხოლო ეს პირველი შთაბეჭდილება გაქარწყლდა. მალე მიხვდნენ, რომ რუსეთის დამარცხება პოლონელებისთვისაც საზარალო იქმნება, რადგან ისინი პოლიტიკურადა და ეკონომიურად რუსეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და სახელმწიფოს ზიანი პოლონელებისთვისაც საზიანო იქმნება. უსახელო ავტორი ურჩევს პოლონელებს, თანაუგრძნონ რუსებს, და არწმუნებს:1, ეხლანდელი ანორმალური მდგომარეობა პოლონეთისა სახელმწიფოსათვისაც სასარგებლო არ არის; 2, რუსები მუდამ სცდილობდნენ და სცდილობენ დაიახლოვონ როგორმე პოლონელები და ოდესმე ეს სურვილი განხორციელდება, და 3, რუსებს ისე არა სძულთ პოლონელები, რომ მათი ურთიერთობა შეუძლებელი იყოს (ნ. ვ.).

—

იაპონელები ჰკიცხავენ ვიცე-ადმირალ კამიმურასი მის გამო, რომ ვლადივოსტოკის ესკადრა თავისუფლად დადიოდა იაპონიის ზღვაზე, დ სატრანსპორტო გემები დაჰღუპა. იაპონელები იგონებენ, რომ წინადაც ვლადივოსტოკის ესკადრამ სატრანსპორტო გემი კინშიუმარუ დაღუპა და უვნებლად დაბრუნდა ვლადივოსტოკს. ამბობენ, თუ ეხლაც რუსის ესკადრა გაუსხლტა კამიმურას, მაშინ ამ ვიცე-ადმირალმა ან სამსახურს თავი უნდა დაანებოს, ან არა და თავი უნდა მოიკლასო (რ. ვ.).

—

ვლადივოსტოკიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 2 ივნისს კორეის ყურეში სატრანსპორტო გემები უნახავთ, რომლებითაც იაპონელებს ჯარი მიჰყავდათ ომის ველისკენ. ამბობენ, ეს მეოთხე ლაშქრის ნაწილი არისო (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან გერმანული გაზეთები იტყობინებიან, რომ სატახტო ქალაქის მცხოვრებნი მეტად აღელვა ტრანსპორტების დაღუპვამ იპონიის ზღვაზე. პროგრესიული პარტია შეიკრიბა და დაადგინა: 1, სამხედრო და ზღვათა სამინისტროებს მოვთხოვოთ ცნობები, რა ღონის ძიება ჰქონდა მიღებული ტრანსპორტების დასაცველად; 2) განვიმარტონ და გვაცნობონ, ტრანსპორტების დაღუპვის გამო დამნაშავენი განსამართლებულ და დასჯილ იქმნებიან, თუ არა, და 3) რა ღონის ძიება იქმნება მიღებული შემდეგისათვის, როა ტრანსპორტებსა აღარა ევნოს·რა (ნ. ვ.).

## ტ ფ ი ლ ი ს ი

—

*** კავკასიის მთავარ-მართებელს მიართვეს საგარეჯოს მცხოვრებთა რწმუნებულებმა ქაღალდი და შესჩივლეს თვისი უკიდურესი გაჭირვება. თვალ-ხევის ადიდებამ დიდი ზარალი მოგვაყენა. თითქმის წელიწადი არ გაივლის ისე, რომ არ დაგვაზარალოს ამ ხევის მოდიდებამაო. წელს ხომ სულ მირეგვ-მორეგვა ამ ხევმა საგარეჯოს რამდენიმე უბანი, სახლები დააქცია, ვენახები და ბაღები ქვიშა-ღორღით აავსო. 120 კომლი თითქმის უსავანოდ დარჩა დ უარარაოდ. მართალია, ამ ხალხს სოფელი, დაეხმარა, მაგრამ წყალ-დიდობამ ისე დააბეჩავა, ისე წაართვა ყოველივე სალსარი, რომ რამდენისამე წლის განმავლობაში ვეღარ შესძლებენ გადასახადებს გაუძლვნენ და თავიანთ თავი აცხოვრონო. სულ ზარალი, როგორც გამოუანგარიშნიათ, 150,000 მანეთისა იქმნებაო. ამ ჟამად ხევს ისე აქვს შეცვლილი მიმართულება, რომ პირველ ადიდების უმალვე დააქცევს სასოფლო ქსენონს, ორს ეკკლესიას, 800 კომლის სახლ-კარს, სოფლის ორ კლასიან სკოლას და 500 დესეტინა ვენახს წალეკავს, თუ დახმარება არ აღმოუჩინეს სოფელს ამ ხევის ნაპირების გასამაგრებლად ჯებირებითა და გოდორ-ყურებითაო. საგარეჯოს მცხოვრებთა რწმუნებულნი სთხოვენ მთავარ-მართებელს, გამოგვიგზავნეთ ინჟინერი და კომისია, დაათვალიერონ ხევის მიმართულება ადგილობრივ და შეიმუშავონ გეგმა როგორ უნდა იქმნას დაცული სოფელი ონავარის ხევის მოდიდებისაგანაო. თუ მთავრობა მოგვეშველება, სოფელს შეუძლიან მუშა ხალხი თავისი გამოიყვანოს, აგრეთვე ურმები და მოჰზიდოს საჭირო მასალა ჯებირების ასაგებად ნაპირების გამაგრებისათვისაო.

*** მკითხველთ უწყიან, რომ ტფილისში არსდება მემამულეთა საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს ბაზარი მოუპოვოს ჩვენებურს ხილს. განზრახულ საზოგადოების მეთაურებმა სთხოვეს რუსეთის მეხილეობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებას, ერთად ვიმოქმედოთო. ამ დღეებში კრება ექმნება კავკასიის მეხილეობის საზოგადოებას და განზრახულ საზოგადოების მეთაურთ მოსალაპარაკებლად იმის თაობაზედ, ამ ორს საზოგადოებას შეეძლება თუ არა ერთად იმოქმედოს.

*** ტფილის·ს საბაღოსნო სასწავლებლის მზრუნველი ამ ჟამად დაეძებს შესაფერს ადგილს, სადაც მოსწავლეებს ზაფხულში შეეძლებათ პრაქტიკული მუშაობა. წინად, როგორც მკითხველთ უწყიან, მოსწავლენი თავ. ერისთავის მამულში მუშაობდნენ.

*** ხვალ, 14 ივნისს, კრება ექმნება ტფილისის ქალაქის საბჭოს. კრება განიხილავს დამატებით ხარჯთ-აღრიცხვის ქალაქის შემოსავალ-გასავლისას.

*** მკითხველებმა უწყიან, რომ ქალაქის გამგეობაში ამას წინად აღიძრა საკითხი საიურისკონსულტო ნაწილის რეორგანიზაციის შესახებ. ამ საგნის განსახილველად ქალაქის გამგეობასა და ხმოსან-იურისტებს ჰქონდათ კრება. შეერთებულმა კრებამ საჭიროდ სცნო, რომ ქალაქის იურისკონსულტად არჩეულ იქმნეს უმაღლეს სწავლა დამთავრებული იურისტი, დაენიშნოს 4,000 მანეთი ჯამაგირი და აეკრძალოს კერძო საქმეების წარმოება. კრებამვე დაადგინა, იურისკონსულტს ორი თანაშემწე დაენიშნოს, პირველს ჯამაგირად 1800 მანეთი მიეცეს, მეორეს—1200 მანეთი. მათ ნება უნდა ჰქონდეთ კერძო საქმეების აღებისა.

*** კავკასიის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების მდივანი ბ-ნი ანტროპოვი თავის ხარჯით აკეთებს ფრინველების მოსაშენებლად ფერმას. ამ საქმისთვის საზოგადოება 2,000 მანეთს სთხოვდა მთავრობას, მაგრამ თხოვნა არ იქმნა დაკმაყოფილებული.

*** ტფილისის ქალაქის თვით მმართველობამ სთხოვა მთავრობას, რომ ის ზედმეტი ფული, რომელიც შემოდის გირაოების გაყიდვით, როცა გირაოს პატრონი აღარ იხსნის, ერთის წლის შემდეგ ქალაქის სასარგებლოდ იქმნას გადადებული. მთავრობამ ამის პასუხად ის მისწერა თვით-მმართველობას, რომ კანონით ეგ ფული 10 წელს უნდა იყოს შენახული და მხოლოდ მას შემდეგ შეირიცხოს ქალაქის სასარგებლოდაო.

*** როგორც ვიცით, ინჟენერმა მეცმა უნდა შეადგინოს გეგმა წალკიდგან წყაროს წყლის წამოყვანისა ტფილისში, ამისათვის კი, სხვათა შორის, საჭიროა გეგმა იმ ადგილ-მამულებისა, რომელიც ქალაქსა და წალკას შორის არის. ქალაქის გამგეობამ მიჰმართა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს, თქვენ გაქვთ ამისთანა საერთო გეგმა და ნება მოგვეცით, მაგისი პირი ავიღოთ, რომ შესაძლებელი იყოს ადვილად შედგენა წყლის გამოყვანის გეგმისა წალკიდანაო.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული საყმაწვილო ნახატებიანი კრებული «მოლალური». კრებულში მოთავსებულია, სხვათა შორის, ლექსი აკაკისა, ფრანგული ზღაპარი ალ. სარაჯიშვილისა, უცხოეთის საყმაწვილო ლიტერატურიდგან გადმოღებული ან. წერეთლისა, წერილი ათაბეგისა „იაპონელთა ბავშვები“ და სვ. ფასი წიგნისა ორი აბაზია.

*** გუშინ გვქონდა მოხსენებული, რომ ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, თუ ნება—დართული არ არის უფასო ბიბლიოთეკებში სახმარებლად, არ შეიძლება ბიბლიოთეკის გამგემ ანუ გამგეთ იქონიონ ბიბლიოთეკა—სამკითხველოშიო. ეს წესი საყოველთაოა და შეეხება ყოველ-გვარ წიგნებს, ქართულსა თუ რუსულს. ორი თითვე შაღავათი აქვთ მიცემული ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს და ეს ორი თითვე ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ წიგნები ნება დასართველად გავგზავნოთ, საცა ჯერ არს, ესე იგი შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამავე სამინისტროს უნდა ვსთხოვოთ ნება-რთვა ჩვენის ჟურნალ-გაზეთების დაწყობისა უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში და, ეჭვი არ არის, სამინისტრო არ დააყოვნებს ასეთს ნებართვის მიცემას.

*** ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში დასრულდა თეორეტიულად სწავლა, წელს სასწავლებელი გაათავა შვიდმა კაცმა.

*** წელს ბორჯომში, იქიდან ჩამოსულების სიტყვით, დიდი სიცივეებია. სახლები ძალიან ნაკლებად ქირავდება. აბანოების ხეობაზე, სადაც ამ დრომდე ყველა სახლი გაქირავებულა, ამ ჟამად ორი სახლიც არ არის გაქირავებული. ბორჯომში მოწყენილობაა.

*** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ ქალაქის გამგეობაში წარადგინა პროექტი იმისი, თუ რამდენი ფულია საჭირო ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის დასაცავად მომავალ წელს. სულ საჭირო 170.944 მანეთი. სამეურნეულო საბჭო სთხოვს, ეს ფული მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ჩაურთოს.

## ჩვენებური ამბები

—

**ახალციხე.** წარსულს კვირას, რომის კათოლეკეთა ეკკლესიაში, წირვის შემდეგ აქაურმა ქართველობამ გარდაიხადა პანაშვიდი განსვენებულ პეტრე უმიკაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო მრავალი ქართველობა განურჩევლად სარწმუნოებისა, როგორც მართლ-მადიდებელნი, აგრეთვე ქართველ კათოლიკენი. ხალხი იმოდენა შეიკრიბა, რომ პატარა «პატრების» ეკკლესია ვერ იტევდა ერსა. პანაშვიდი გარდაიხადა პატრმა ლაზარე გოზალაშვილმა თანა მსახურებით არქიმანდრიტის მ. დიონისე კალატოზიშვილისა, მ. იოანნე გვარამაძისა და მ. ს. მერაბაშვილისა, ერშივე შევნიშნეთ ახალციხე-ახალქალაქის კეთილ მოწესრიგე დეკანოზი დ. ხახუტაშვილი დ მღ- ე. ინასარიძე.

პანაშვიდის დაწყებამდე პატრმა გოზალაშვილმა მოკლედ გააცნო ერსა ბიოგრაფია და მოქალაქობა პეტრე უმიკაშვილისა. პანაშვიდის შემდეგ ჩვენმა ცნობილმა ისტორიის მცოდნემ, ღრმად მოხუცებულმა მამა ი. გვარამაძემ წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა დ დაასურათა განსვენებული. ამ სიტყვას აქვე გაახლებთ დასაბეჭდად. გალობა და ღვთის მსახურება ქართულად და ლათინურად იყო.

ა.

—

### სიტყვა, თქმული ახალციხეში პ. უმიკაშვილის სულის მოსახსენებლად გადახდილ პანაშვიდზედ.

„ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“ სახ. მათესი, თ. 5 მ. 5.

ბედნიერი იყავ, ძმაო, განსვენებულო პეტრე იოსების ძე უმიკაშვილო. გიცნობდი ადრევე კარგად, მშვიდობიანად გაატარე შენი დღენი, შენი სიცოცხლე კმაყოფილებით ამ წუთის სოფელში. შენებურად, აუჩქარებლად, დინჯად, წყნარად ემსახურებოდი შენის შეძლებისამებრ, ჩვენსა და შენს საყვარელს ტკბილს სამშობლო მამულსა, ყოველი ერთგულის მწერლიობითი მოღვაწეობითა დაუცხრომლად სიკვდილამდის, რაც დიდად სასიქადულო და სასარგებლოა ჩვენის ქვეყნისთვის და შენთვის მარად სახსოვარ სახსენებელია საუკუნოდ. ღმერთმან გაცხონოს და სამაგიეროთ ათასკეცილი მოგაგოს საიქაოსა!

მე ვიცი კარგად, რომ კარგ კაცობით კაცური მხნე კაცი იყავ, პატიოსნობით მეტათ პატიოსანი, გამოსადეგი კაცი, უშფოთო, უწყინარი, მშვიდი და მდაბალი გულითა; თუ ვთქვათ, ბატონობით ნამდვილათ შენის გვარ ჩამომავლობის სასიქადულო ბატონი და შენის მამა-პაპისა უქრობ სანთელ-საკმელი, რისგამოც ყოველ შენის ცხოვრების გადადგმულ ნაბიჯზედ, დაწყობილი სამოცი წლითგან დღემდის გვაგულიანებდი ყოველ კეთილ სამოღვაწო შრომაზედ, გვახალისებდი და გვავსებდი მეტათ სანუგეშო-კეთილ იმედებით მოსალოდინებელ მომავალზედა; და სად არის? დღემდის ჩვენ ვერ ველირსეთ და ვერცაღა თქვენ მოესწარით, ჩვენს დიდ სამწუხაროთ!..

არაოდეს არ არის დასავიწყი შენი ტკბილი გულ-კეთილობა და მონა მოყვასური შესანიშნი კაცთ მოყვარება, რომ ყოველ კაცს ყოველ წოდების პირთ, დიდთ თუ მცირეთ, კეთილშობილთ, მოქალაქეთ და მდაბიოთა უხვდებოდი შინაურული ტკბილობით შესაფერათ და უშლიდი ვარდსავით ბრწყინვალე, განსპეტაკებულს შენის გულის კეთილშობლურ მიმართულებასა; რაც შეგეძლო, არ ვის უზოგებდი შენს სწავლა-დარიგებასა თუ სასწავლებელში და თუ გარეთ, სამოქალაქო უწყების პირთა არ აკლებდი ნუგეშს-შემწეობასა, და ბევრჯერ წინ უძღოდი, სადაც შეიძლებოდა, ყოველ გაჭირვებულთა და შველოდი დაუზარებლათ, რითაც დაიმსახურე შენს სიცოცხლეშივე ყოველი კაცის პატივისცემა და სიყვარული.

ამისთვის შენი დაკარგვა, შენი სიკვდილი დიდათ სამძიმოა ასეთს ჩვენს გაჭირვების დროს, ყოველ შენს მოკეთეთ, შენს ნაცნობთ ენანებათ მწარეთ, გიგლოვენ, სწუხან და უკან მოგტირიან, მაგრამ რა ღონე გვაქვს, ღმერთმან საკეთილოდ ასურე ინება, თუ შენთვის და თუ ჩვენთვის, ნება მისი კურთხეული იყოს...

მათ მიხედვით ჩვენ ძმათა, ჩვენს სანუგეშებლათ დღევანდელ დღეს ჩვენ ერთის ტომისა მართლმადიდებელნი და ქართველ კათოლიკენი შეკრებილ ვართ ერთიან მღვდლით ერამდის ამ რომის კათოლიკეთ ეკკლესიაში და ვასრულებთ პანაშვიდს შენის სულის მოსახსენებლად და ვევედრებით გულ წყლულნი დ თვალ ცრემლიანნი უფალს, მაცხოვარსა ჩვენსა, რათა შენს სულს ... ხინვებით ზეცას სასუფეველი დაუმკვიდროს და ჩვენ ნუგეშ გვცეს კეთილის მომავლითა თავის საქებ სადიდებლად მარადის.

მწუხარე მესხი მღ. ი. გვარამაძე.

—

**ზემო-იმერეთი.** ქვემო იმერეთში ძნელად, თუ მოიპოვება ისეთის გლეხის ოჯახი, რომ 4—5 თუმნის აბრეშუმი მაინც არ მოიწიოს და ეს მოსავალი მოდის სულ $1^1/_2$ თვეში. არც დიდ შრომას თხოულობს და არც მამაკაცის მუშა ხელს. მეაბრეშუმეობა დედაკაცების მოვალეობაა და კიდევაც პირნათლად ასრულებენ: მოაწევს აბრეშუმის ესლის (გრენა) ყიდვის დრო თუ არა, ქმარმა არც კი იცის, ცოლს უკვე ნაყიდი აქვს თესლი და მხიარულად ელოდება გაზაფხულზედ პაწია ჭიების გამოჩეკას. დიდი რამ არის ღარიბ გლეხისათვის 4—5 თუმანი ფული. მეტადრე იმ დროს, როდესაც გლეხს ყანებში გახურებული თოხნა აქვს, სამუშევარს ვერ ასდის და ნაშრომი ეკარგება; დიდი საქმეა მისთვის ორიოდე ნაქირავები მუშა ხელის დახმარება, ათას გვარ გადასახადების დაკმაყოფილება და კულტურულ მთხოვნელებთა დაკმაყოფილება! და ეს დრო აბრეშუმობაა, დ ნამდვილი ბედნიერი დღე არის მუშა გლეხის ოჯახისთვის.

ზემოური გლეხები კი, რომელნიც არა ნაკლებ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, ამ შემოსავალს სრულიად მოკლებულნი არიან.

რა არის მერე ამის მიზეზი? თუთის ხე ვერ ხარობს, თუ აბრეშუმი?—ჩვენ თამამად ვიტყვით, რომ არც ერთი და არც მეორე. არა თუ არ ხეირობს თუთის ხე, პირიქით, რაც არის (თუმცა იშვითად), გაცილებით უფრო კარგი ფოთლიანია, ვიდრე ქვემო იმერეთში.

იქნება თქვან. რომ გაზაფხულზედ აქ ცივა და ამისათვის ახალი გამოჩეკილი ჭიები ვერც სიცივეს აიტანენ და ვერც თუთის ფოთოლს იშოვნიან, რადგან გვიან გამოდისო? ეს მართალი არ არის. თესლი შეგიძლიათ ისე შეინახოთ ზომი-

---

## ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

### ტყუილ-მართალი.

გუშინ სალამოს გოლოვინის პროსპექტზე მივკინჰილობდი. შემხვდა ერთი ჩემი კარგი ნაცნობი და მომაძახა: კაცო, რა დიგმართნია, რომ მანგრე აჯა-ბაჯა დაიარებიო?

— სიბერე და ნეკრესის-ქარები, მეთქი. ვუპასუხე.

გაიკვირვა... მერე და რატომ არ დააზელიებ ?

— გოგილოში ვაზელინე, მაგრამ არა მეშველა რა!

— ეჰ, შე დალოცვილო, ალა-მამად ხნის ხელობა რომ არ გესინჯა, მასაჟი დაგავიწყდა? მექისისა და ქისის დრო წავიდა!..

— ვინ მოგახსენათ? მაგ ხელობამ სახელი იცვალა, თვარა სახრავი კი არ დაუკარგავს: მექისე საკუთარის ქისით მოდის, თავისს ქისაში ჰყოფს ხელს, დაგბანს და მერე შემოგყურებს თვალებში, ეგებ ერთი-ორი გროში გადმომიგდოსო და მასსაჟის გამკეთებელი კი, წინდაწინვე შენს ქისაში აფოთარებსხელს და, თუ არ ეჭაშნიკა, სიახლოვესაც აღარ მოგეკარება!.. აგივლის გვერდს. და იმათ რაღა ქისა გაუძლებსთ, თუ არ მდიდრების? ჩვენისთანა ღარიბებისათვის მიუწდომელნი არიან მასაჟისტები...

— საზოგადოდ მართალია ეგ, მაგრამ ამ დღეებში მოგვევლინა ტფილელებს ერთი მისთანა უანგარო მასსაჟისტი, რომელიც, გარდა პირად გულის ფხანვისა და სიამოვნებისა, არას იღებს ხელფასად!... უფულოდა ჰზელს.

— მართლა? მერე და ვინ ყოფილა მაგისთანა ღვთისნიერი მკურნალი?

— მეცნიერი ვინმე, უნივერსიტეტ-გამოვლილი და კორტოხ—გადმოვლილი, გვარად ქართველიანცი. მეტად გულკეთილი და სამაგიეროს გადამხდელი ვინმეა. ადრე, როცა თვითონ დაეძებდა ფულებს, ბევრჯელ თურმე უზელიათ და ახლა, როცა თვითონ გაფულიანდა, სამაგიეროს იხდის, და ვისაც კი შეხვდება, ფულის მაძებარს, თუ მისის წრისა არ არის, მასაჟურად ჰზელს და ხელფასსაც არას თხოულობს.

— ტყუილი იქნება!.. ჩვენში ბევრი ჭორები იციან. როგორ დავიჯერო, რომ მაგისთანა უანგარო ვინმე დღეს კიდევ სადმე იყოს?!.

— სოლომონ ბრძენსა ჰკითხეს: ტყუილსა და მართალს შუა რამდენი მანძილი ძევსო? ერთი ხელის დადებაო, ბრძანა. გამოზომა ყვრიმალი თვალსა და ყურს შუა და სწორედ ერთი ხელის დადება გამოდგა. და მაშინ ბრძანა იმ ჭკუა ნათელმა: თვალით ნახული მართალია და ყურით მოსმენილი ტყუილიაო. მეც, ეს რომ ვიცი, ნითქვამი არა მჯერა რა!... თვალს უჯერი და რაც იმ მასაჟისტზე გიამბე, ჩემის თვალითა მაქვს ნანახი: ჩვენში ერთი მოხუცი ექიმია, მეტად პატიოსანი, მეტად სათნო და სასიამოვნო. ჯერ მის ხელში ავადმყოფი არ მომკვდარა და არ მომკვდარა მიტომ, რომ სულაც არ ექიმობს- პირდაპირ გამოტეხილია, რომ იმისთანა ექიმობაც, რომლითაც ზოგიერთ ჩემ კოლლეგებს თავი მოაქვთ და ფული მიაქვთ, თაღლითობა არისო. თუ მაინცა და მაინც არ დაგიშლია, ისევ კარაბადინს უნდა მიმართოო, სადაც ხალხის გამოცდილება მაინც არისო. და მართლაც, კარაბადინიდან ამოკითხული ბევრი რამ იცის და სხვათა შორის სიყვითლის წამალიც. კარაბადინი გვირჩევს: «კაცს რომ სიყვითლე შენიშნო, უნდა ისეთი სილა გააწნა, რომ შეშინდეს... შეკრთება და ნაღველი სანაღვლეშივე ჩაუბრუნდება და სიყვითლეც გადაუვლის». ეს სწრაფი ექიმობა ძველად დიდად ყოფილა მიღებული ჩვენში და დღეს თით-ოროლამ თუ იციან და მათ რიცხვში ამ ზემოხსენებულმა ექიმმაც.

ერთხელ ეს სათნო და პატიოსანი ექიმი მივადა იმ მასაჟისტთან და დაინახა, რომ თვალები ამღვრეული აქვს და ყვითელ ფერსაც გადაუკრავს. თურმე მიზეზი გაყვითლებისა სულ სხვა რამე იყო დ დოკტორს კი ეგონა, სიყვითლეაო და უცბად „ლაწან“ ყურის ძირში! შეკრთა მასაჟისტი და ჰკითხა: ეს რა არისო?

— რაო და სიყვითლის ექიმობაო! ასე სწერია კარაბადინშიო.

— გიადლობ! მაგრამ შენც ისე ბარბაცობ, რომ ფეხებში ნეკრესის ქარი უნდა გიდგესო და მაგის ექიმობა მეც ისე ვიცი, როგორც ჩემს კარაბადინში სწერიაო! და მეც სამაგიერო მინდა გადაგიხადოო. მიეპარა უკანიდან, კამოჰკრაი იმერული კვანტი და გაშხლართა დედამიწაზე, დააჯდა გულზე და დაუწყო ზელა. ქვეშიდან ექიმი ეუბნებოდა: «კმარა! მეყოფა! ნამეტანს ნუ გულმოდგინეობ, თვარა მაგისთანა მასაჟს, ნეკრესის ქართან ერთად, სულიც თან გაჰყვებაო!... მაგრამ ვინ დაუჯერა, სხვები?! ვინც იქ იყვნენ, სეირს შეჰყურებდენ და «ვაშა»! «ვაშა»-ს! შესძახოდნენ გასამხნევებლად უანგარო მამულიშვილს-მასაჟისტს.

— მერე და შენ რაღას უყურებდი? რათ არ მიეშველე?

— მე! მე იმ დროს ოცნებამ შორს წამიყვანა. ხუნხუზების ვაჟკაცობა მომაგონდა.

— ჰმმ!—მერე და მაგისთანა მასაჟისტთან მიგყავარ?!. არა, ძმაო, მე მოდის ამყოლი არცა ვყოფილვარ და არცა ვარ!. იმათ ზილონ თავიცა და ფეხებიც, ვისაც კუჭის ქავილი აქვს მეთქი.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ჯარად გვერდი აგვიარეს ჩვენმა ნაცნობებმა. უმეტესობა მათში სულ დოქტორები იყო და ორიოდე მღვდელიც მისდევდათ. ეს კარგი ამბავი არ უნდა იყოს მეთქი!—განვიძრახე:—ალბათ ვიღაც ჩვენი ნაცნოპთაგანი მძიმე ავადმყოფი იქნება და კონსილიუმზე მიჰყავთ დოქტორები და მღვდლებიც თან მიჰყავთ, თუ ზიარებაც საჭირო იქნება, მეთქი. მივატოვე ჩემი მეგობარი დ გამოვუდექი დოქტორებსა და მღვდლებს.—შევიდენ ერთს სახლში. მეც შევყევი. ვხედავ, რომ დარბაზში ხალხი ბევრია, ერთის მხრით ჭირისუფლები სხედან, ცხვირ-პირ ჩამოშვებულები და მეორეთი—მომტირლები... მაგრამ არც მკვდარი ვინმე და არც ავადმყოფი არსად სჩანს. ჭირისუფლები რაღასაც ჩიფჩიფო-

ერ სითბო-სიგრილეში, რომ, როდესაც ჰაერი გათბება და თუთის ხეც გაიფოთლება, მაშინ გამოვიდეს ჭიებთ.

მაშ, რა ყოფილა მიზეზი, რომ ზემო იმერეთში მეაბრეშუმეობა არ ეტანებიან? არაფერი გარდა გამოუცდელობისა და შეუგნებლობისა. და ეს იმიტომ, რომ სოფლის ინტელიგენცია ამისთანაებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს, არ უჩვენებს ხალხს მაგალითს, რომ მათგან მშრომელმა ხალხმა გადაიღოს.

ვიმეორებთ, მოვალეა სოფლის შეგნებული ელემენტი, [illegible]ელიც თითქმის ყოველ სოფელსა ჰყავს, აჩვენოს მუშა ხალხს მეაბრეშუმეობის მაგალითი, რაიცა დიდს ნაყოფს მოუტანს მშრომელ გლეხ-კაცობას ცხოვრებაში.

ძალიან დაქვეითებულია სწავლა-განათლების მხრივაც ზემო სოფლების გლეხკაცობა. ქვემო იმერეთში ძნელად თუ ნახავთ ისეთ სოფელს, სადაც ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი მაინც არ არსებობდეს. არის ბევრი ისეთი სოფელი, სადაც 2—3-იც არსებობს და ზემო იმერეთის სოფლებშიკი, [illegible]რ-სამ სოფელში ერთსაც ვერ შეხვდებით, და თუ შეხვდბით, მოსწავლეთა რიცხვი მცირეა. მშრომელი ხალხი აქ დაქვეითებულია, დაწინაურებული კლასები კი (თავად-აზნაურობა და სამღვდელოება) არ საჭიროებენ სოფლის სკოლებს, რადგან საშუალება აქვსთ ახლო დაბა-ქალაქებშიაც მისცენ ბავშვი სასწავლებელში. თვით დაბა საჩხერეშიაც-კი მარტო ორი პირველ დაწყებითი სკოლა არსებობს და ისიც ერთი წელს დაარსეს. არსებობს საჩხერეში ბიბლიოთეკაც, მაგრამ.ვაი ამისთანა არსებობას, სულს ძლივს ჰლაფავს და ეს იქ, სადაც გამოჩენილი მემამულეები თ. წერეთლები სცხოვრებენ და ამოდენა ბაზრის შეძლებული ვაჭრები, და თუ საჩხერეში ასეა, სოფლებში რადა გულის ფიცარზე სახნისი გამევლო და წიწმატი დამეთესა, მაგრამ იმ დროს ზარის წკარუნმა შემაჩერა!.. თავმჯდომარეს დაედგა შავი კოლოფი და კენჭს მოითხოვდა, რომ გამგეობის წევრად ერთი კიდევ ვინმე აერჩიათ. გავჩუმდი, რადგანაც კენჭი არა მქონდა.. ისორემ იმისთანა საზოგადოებისათვის, ვინ ოხერი, ჩემდა თავად, კენჭს კი არა, ან ქვა და ლოდს დაინანებდა. — კანდიდატებად დაასახელეს ორი (რასაკვრელია, როგორც სნეულისათვის) ექიმი. ერთი ძველი და ერთიც ახალი. «პური და ღვინო ძველი სჯობს, საკლავი ახალ-ახალიო», ნათქვამია საზოგადოდ.. მაგრამ ეს ექიმებსაც შეეხება თუ არა, არ ვიცი! მე არც ერთის დამწუნებელი არა ვარ!. მაგრამ ქალებს კი, რადგანაც გულთამხილავნი ისინი უფრო არიან ჩვენზე... კაცებზე, ახალი იამათ. და მეც...

ეს რომ ვნახე მე, რუსთველი
მომაგონდა.. გამეცინა:..
«ფატმან—ხათუნს მისი მოსვლა,
შევითვატყვე; არ ეწყინა!».

ხ.გ.ი.

# უცხოეთი

**რომი.** (საკუთარის კორესპონდენტისაგან). ჩემის ისტორიის 163 გვერდზე უკვე მოხსენებული მქონდა, რომ მისიონერ ქრისტეფორე კასტელს (1632—1654 წწ.), დაეწერა საქართველოს მოკლე ისტორია და შიგ ჩაერთო თავის თანამედროვე მთავრების სურათებიც. ამას დიდი ხანია დავეძებდი, მაგრამ აქამდინ ვერსად შევხვდი. ამ მაისის დამლევს ვიმგზავრე იტალიის სხვა ქალაქებში და, საბედნიეროდ, ერთს ბიბლიოთეკაში ვიპოვე ეს ძვირფასი დოკუმენტები. ოთხი დიდი ტომია in-folio, დახატულია შიგ რავდენიმე ქართველი მთავრების სურათები. გარდა ამისა, ეგრეთვე მოხაზულია ზოგიერთი ეკლესიები, სახლები, პატრების მამულები და მათი სხვა და სხვა გარემოება. ყველა მეტად საინტერესოა. სამწუხაროთ, შევინშნე, რომ ზოგიერთი სურათები ამოუჭრიათ და წაუღიათ და ესრედ სამუდამოდ საქართველოსთვინ დაღუპულა. რათა დანარჩენიც ესე სამუდამოდ არ დაღუპულიყო, რაც შეიძლებოდა, ფოტოგრაფიით გადავაღებინე. ეს მგზავრობა (24 ფოტოგრაფია) თითქმის ოთხას ფრანკამდინ დამიჯდა. ახლა დანარჩენიც მინდა ყველა გადმოვახაზვინო, ისე როგორც არის. ეს უფრო დიდს ხარჯს მოითხოვს. მე ჩემად არ შემიძლია, რადგან მხატვრობა—მოხაზულობაში გამოცდილი არა ვარ. საქართველოდანაც ამისთანა საინტერესო საქმისათვის არას ფერი შემწეობა მომდის. სიტყვით ყველანი მამულის მოყვარენი არიან, მაგრამ საქმით კი ბევრი შორს დგანან და თავს სხვა და სხვა მიზეზით იმართლებენ. ვიცი, ამ ძვირფასი საუნჯის პოვნის ამბავი ყველას დიდად გაეხარდება. მაგრამ ეს როდი კმარა, შემწეობის აღმოჩენაც საჭიროა. ამ 24 გადაღებული ფოტოგრაფიის (cliché) კლიშეები მე თან წამოვიღე.

ამასთანავე გაახლებთ 3 ფოტოგრაფიას ახლად ნაპოვნ დოკუმენტებიდგან. ქართველებსაც ვალი აქვსთ, თავიანთ შეძლების დაგვარ, შემწეობის აღმოჩენისა ამისთანა საინტერესო საქმისათვის*).

მღვ. მიქელ თამარაშვილი.

**მცირე შენიშვნა ჩემი „ქართული გრამატიკის“ შესახებ.**

ეს-ეს არის გამოვიდა ჩემი ახალი წიგნი «ქართული გრამატიკა», და რადგან აჩქარების გამო წიგნს თან წინასიტყვაობა ვერ წავუმძღვარე, პატივცემულ „ივერიის“ რედაქციის ნებართვით, მინდა—გაზეთის საშვალებით მაინც მივაქციო მკითხველის ყურადღება ჩემი წიგნის ერთ მხარეს.

ჩემი წიგნის მკითხველს განსაკუთრებით ის მოხვდება თვალში, რომ ჩემი ორთოგრაფია (მართლ-წერა) თანამედროვე ქართველ მწერალთა და პერიოდულ ორგანოთა მართლ-წერისაგან რამდენათმე განსხვავდება. გარდა იმისა, რომ უპირატესობას ვაძლევ დღევანდელ მწერალთა უმცირესობის მართლ-წერას (რომელიც უმთავრესათ ვნებით ბრუნვასა და ზმნისართებში დაბოლოებით **თ**-ნით და ზმნებში დაბოლოებით **დენ**-ით გამ[illegible]ხატება, მაგალითად: **კაცათ, კარგათ მოვიდენ** და სხვა, ამასთანავე ვხმარობ მართლწერას: **ცთა, გამოცთა, გადახთა,** და სხვა; ე. ი. **ც**-სა და **ხ**-თან **თ**-ს, **დ**-ნის ძაგიერ, **ტ**-თან **ქ**-ს, **ძ**-ნის მაგიერ; აგრეთვე მართლ წერას: **ერდგული, ქვიტკირი** და რამდ. სხვ.

ჩემ-მიერ მიღებული მართლ-წერა არ არის ფანტაზიის ნაყოფი—და მისი საფუძვლები მოხსენებული მაქვს წიგნში—«სალიტერატურო ქართულ»-ში.

ყოველ შემთხვევაში, თუ ჩემი წიგნის სხვა მხარეები (სისტემა, მასალის რაოდენობა, კანონების განმარტება—და საზოგადოთ შინაარსი) დასაწუნებელი არ გამოდგა, მარტო აღნიშნული ორთოგრაფიის მიზეზით არ უნდა დაიწუნონ შკოლებში ამ წიგნის სახელმძღვანელოთ შემოღება, როგორც არ დაიწუნება ჩვენი გაზეთი «ივერია» მით, რომ იქ ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებული მართლწერა იხმარება (მაგალ. **სეკდემბერი, ოკდომბერი, ტფილისი** და სხვ.). თუ რომელიმე მასწავლებელი ჩემს მართლ-წერას არ დაეთანხმება, ადვილათ შეიძლება—დაბოლოების **თ**-ნის **დ**-ნათ გადასწორება, **დენ**-ის **დნენ** ათ და სხვ.

სილოვან ხუნდაძე.

*) ჩვების კორესპონდენტისაგან გამოგზავნილი სურათები: 1) ფომინისია ბერიძე, გურული კეთილშობილი დედაკაცი, პოეტი, დიდი ნიჭიერი, სათნოებით შემკული და განთქმული, 2) ქეთევან დედოფლის შვილი, თეიმურაზ პირველი, კახეთის მეფე და მისი მეუღლე დარეჯანი და 3) ვახტანგ, გურიის მთავარი თავისის ძმის მალაქია კათალიკოზის სიკვდილის შემდეგ 1639 წ. გაუგზავნეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ «ცნ. ფურცლის» რედაქცია. არა თუ ამ სურათებს, არამედ სხვებსაც გადაალებინებს პატივცემულს ავტორს და დაჰნეჭდავს თავის სურათებიან დამატებაში.

რედ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივნისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრესს შტაბში 10 ივნისის თარიღით: «9 ივნისს საღამოთი იაპონიის სადარაჯო რაზმი გაჭიმულიყო ექვს ვერსზე ჩრდილოეთად სენუჩენიდან, ზღვის ნაპირიდან მთების ძირამდე, სოფლებ სიანზაიცსა, დაზიანსა, ლიცზიატუნსა, იანცანიატუნსა და ვანსიაოშანზე. ლიცზიატუნის სიმაღლეზე მოქმედობდა იმათი ჰელიოგრაფიული სადგური. მარცხენა ფრთედზე შევნიშნეთ ქვეითა ჯარი და ტყვიის მფქვეველი სასროლები. ივნისს 9 იაპონიის მზვერავი რაზმები ცდილობდენ შემოსულიყვნენ ჩვენ მცველ რაზმების ფარგალში, მაგრამ იმათმა მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა; ღამემ წყნარად გაიარა. 10 ივნისს დილიდან მტერმა განაახლა სატევი მოქმედება დაწყობილი ტავაჟიდან მდინარე კანტახამდე. ნაპირზე შევნიშნეთ, რომ ზღვაში მტრის გემებია. გზებზე სიუაიანიდან ხაიჩენისაკენ 8 და 9 ივნისს მტრის მოძრაობა ჩვენმა მოწინავე რაზმებმა შეაყენეს. ჩვენ დაგვიჭრეს პოდესაული ენგბერტსი და სამი ჯარის-კაცი. 9 ივნისს იაპონელნი დარჩენ ულელტეხილ ჩიპანლიანზე და წინ არ წამოუწევიათ; ფინხუანჩენისაკენ შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა; ემჩნევა მხოლოდ რამდენიმედ გაძლიერება ჯარებისა ხაბალინის მიდამოებში, სადაც იაპონელნი სიმაგრეებს აგებენ და აკეთებენ გზას ფინხუანჩენიდგან სელირჯანისაკენ. გზაზე საიმაძიდან ლიაოიანისაკენ იაპონელნი გადავიდნენ აილანიამონის იქით. 8 ივნისს იმათთან სროლის დროს დაიჭრა პოდესაული ანიჩკოვი და ორი ყაზახი.—გენერალ-კვარტირმეისტერს კიევის სამხედრო ოლქის შტაბისას, გენერალ-მაიორს ბლაგოვეშჩენსკის უმაღლესად ებრძანა მანჯურიის ლაშქრის მორიგ გენერალად ყოფნა; სამხედრო სამინისტროს კანცელარიის უფროსის თანაშემწეს გენერალ-მაიორ ზაბელინს უმაღლესად ებრძანა მანჯურიის ლაშქრის სამხედრო მისვლა-მოსვლის უფროსად ყოფნა. შორეულ აღმოსავლეთში ნამესტნიკის დროებითი შტაბის უფროსს გენერალ-მაიორს ფლუგს ებრძანა ნამესტნიკის გენერალ-კვარტირმეისტრად ყოფნა.

**პარიჟი.** ტოკიოდან კერძოდ მიღებულის დეპეშის თანახმად, რაიც დიპლომატიურის გზით შემოწმებულია, «სადომარუზე», რომელიც რუსთა ვლადივოსტოკის კრეისერებმა ჩაღუპეს ზღვაში, დაიღუპა ახლად დანიშნული მარშალი იჰიამა მთელის თავის შტაბით. იმავე გემზე იყო დიდი ნაწილი საალყე არტილერიისა პორტ-არტურისათვის. ამ უბედურებამ იაპონიაში დიდი მწუხარება გამოიწვია. უკანასკნელ ჟამს ზღვაზე და ხმელეთზე მიყენებულმა ზარალმა და სრულმა ნაკლებობამ ფულისამ იაპონიის მთავრობა გაჭივრებულს ყოფაში ჩააყენა. იმ ლაპარაკიდან, რომელიც ბარონ გაიაშის ჰქონდა სახელმწიფო კაცებთან, სჩანს, რომ იაპონიის მიკადოს ძალიან სწადიან ომის გათავება.

**ირკუტსკი.** 10 ივნისს გზათა მინისტრი პეტერბურგს წავიდა.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგ.»). 4 ათასი კაცისაგან შემდგარმა რუსის რაზმმა იერიში მიიტანა აითანიაინზე, მაგრამ უკუ აქციეს, და წავიდა სიგოულინისაკენ. რუსებს ხუთი მოუკვდათ და 20 დაეჭრათ. იაპონელთა ზარალი გამორკვეული არ არის.

**ნიუ-ჩუანი.** («რეიტ. სააგ.») 10 ივნისიდან ახალი სიმაგრეები კეთდება. ჩინელები თავის სახლებიდან გამორეკეს და სახლები რუსის ჯარებს გადაეცა.—გამოიცა ახალი ბრძანება, რომელიც უკრძალავს სანოვაგეს გატანას ნიუ-ჩუანიდან ჩრდილოეთად.—იუწყებიან, ნიუ-ჩუანის რვა მილზე კუროპატკინის უფროსობით დიდი რაზმი სდგასო. ფიქრობენ, რომ ეს ჯარები გაიჯოუსკენ მიდიანო.

**ჩიფუ.** («რეიტერის (სააგ»). ხუთშაბათს ღამე და პარასკევს დილით რამდენისამე საათის განმავლობაში პორტ-არტურის მხრიდან ძლიერი სროლა ისმოდა.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

11 ივნისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,50 |
| ბერლინში „ . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . | 37,52½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 91¾ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 87 წვრ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 373 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 293½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 258 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედ. საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . | 87¾ წვ.. გაყ. |
| 6% ქუთ. სააღ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

# განცხადებანი


**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

სთხოვს ეტლებისა და სხვა მსუბუქ სამგზავროების პატრონთ მოვიდნენ ქალაქის გამგეობაში ხუთშაბათს, 17 ივნისს, საღამოს 5 საათზედ, ბლიახებით ანუ მეეტლეობის სავალდებულო დადგენილებათა წიგნებით სტაროსტისა და მის კანდიდატის ამოსარჩევად. ამ თანამდებობაზედ მყოფნი სტაროსტა ჟაბინი და მისი კანდიდატი რემიზოვი დათხოვნილ იქმნენ ამ თანამდებობიდან. (3—6—1).

საცხენისის პირველ-დაწყებით სასწავლებელში (სოფელ ყვარელშია) არის 45 თავისუფალი სახელმწიფო ვაკანსია ამიერ კავკასიის თავად-აზნაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისათვის. მიიღებენ ბავშვებს 8—10 წლისას.

მსურველთ თხოვნები უნდა მიართვან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ აგრეთვე დაბადებისა, ჩამომავლობისა, სიღარიბისა და ექიმის მოწმობანი. (3—6—3).


ბენ და მომტირლებიც რაღასაც შესწუწუნებენ მათ. ვერა გავიგერა. მივუბრუნდი იქ მყოფ ერთ ახალგაზდა ყიამყრალას და ვკითხე:

— რა ამბავია? ვინ მომკვდარა?

— ჯერ არავინო, მეუბნება დრეჭით.

— კვდება ვინმე?.. ავადმყოფია?

— არის.

— ვინ?

— ვინ და ესრედ წოდებული «სიბნელის დამხმარებელი საზოგადოება».

— ისინი ჭირისუფლები არიან?

— არა, ამ საზოგადოების გამგეობის წევრნი.

— მერე და რას ჩიფჩიფობენ!

— კი არ ჩიფჩიფობენ, მჭერმეტყველობენ! მაგრამ ჩვენ არა გვესმის რა იმათი ნათქვამი, რადგანაც კბილები უშლისთ. ხომ გაგიგონია, რომ იტყვიან ხოლმე: «საბავშო კბილი მოცვლილი აქვსო, ესე იგი, გამოცდილი და ჭკვიანიაო. ამ ანდაზის მიმყოლ ჩვენს საზოგადოებას, ასე ჰგონია, თუ ვისაც კბილები აღარ აქვს, ბრძენიაო. აღარ უსინჯავს სიბრძნის კბილს: ამოუვიდა თუ არაო და ისე ირჩევს მეთაურად. ამ დღევანდელ წევრთ გამოუცდელობასა და უჭკუობას ვერ შევსწამებთ!.. მაგრამ უკბილობა კი მათაც ხელს უშლის და ველარა გაგვიგონია-რა მათი ნათქვამი. და იმიტომაც ეგერ რომ კაცი ჯის, ის ჩვენი ცნობილი კბილის ექიმია, საზოგადო საქმეებში ყველგან მონაწილე და მიტომაც ჯავრობს. ვერ ატყობ სახეზე? ამ დალოცვილებს, ეთქვათ ჩემთვის!—როგორც საზოგადო მოღვაწეებს, მუქთად, უსასყიდლოდ, ჩავუყენებდი კბილებს, ოღონდ კი გაგვეგო მათი სიტყვა-პასუხიო!

— ჰო? და ესინი ვიღა არიან, იმათი მოპირდაპირეები?

— ესენი? წუნია-წუწუნაშვილები! ამათი რიცხვი ჩვენში მრავალია. თვითონ არაფერს არ აკეთებენ და სხვებისას სწუნობენ, უკიჟინებენ. აი ახლაც, გამგეობას უნდა რომ საპენსიო კასა დააარსოს, ოცი წლის სამყოფი თანხა კიდეც შეუგროვებია ექვსის წლის განმავლობაში და ესენი კი ეწინააღმდეგებიან: არა, არ შეიძლება, ოცი წელიწადი ცოტაა, საუკუნო, სამარადისო თანხა უნდა გქონდესთო. როგორც ჩიტები ბუს, შემოხვევიან საწყალ ერთ კაცს და ოფლში სწურვენ.

— აი ე ჭახმაკი მოხუცი რომ არის, მაგას ცხადაძეს მიტომ ეძახიან, რომ მაგის სიტყვაცა და საქმეც ცხადია!.. თუმცა არ ჰქარგავს, მაგრამ სჭედავს კი. გესმის, რას ამბობს? «პენსიის საქმე ყველგან ასე არისო... საუკუნო თანხას წინდაწინ არავინ ადგენსო. დღეს რაც მოგვიგროვებია, ოც წელიწადს ხომ იკმარებს? იმას ჩავკიდოთ ხელი, მოვიხმაროთ და მერე კიდევ სხვა იქნებაო. თუ ექვსის წლის განმავლობაში ოცი წლის საყოფი მოვანგროვეთ, რატომ მერმე კიდევ, ორმოცისა და ასის წლის განმავლობაში ველარას ვიხეირებთ? იმედია რომ“... მაგრამ აქ სიტყვა გააწყვეტიეს და მიჰმართეს საყვედურებით: შენ სულ აგრე იცი!.. იმედის იმედით დარჩენა უგუნურებააო. ჯერ უზარ-მაზარი, მილიონის შენობა გამოიწყე მაგ შენი რაღაც იმედებით და ახლა კიდევ სხვებსაც იმედიჟვე ეპოტინებიო.

ეს რომ გავიგონე, მეუცხოვა და ერთი ამბავი მომაგონდა:

ფოთისკენ რომ რკინის გზის ლიანდაგს მოცლილ—სალდათებს აკეთებინებდე, ერთმა მეგრელმა ხურჯინით რაღაც მიართვა პოლკოვნიკს და რომ ჩამოართვა პოლკოვნიკმაც, მეძღვნემ გამოატრიალა ცხენი დი გაქრა თვალსა და ხელს შუა. ჩახედა ხურჯინში გაოცებულმა რუსმა და პატარა ბავშვი ნახა შიგ. არ იამა!.. ბავშვები თუ მყვარებოდა, ცოლს შევირთავდი და ჩემი საკუთარი შვილებიც მეყოლებოდაო!.. ამისთანები ბევრი შემოეხარჯა, მაგრამ მეტი რაღა გზა ჰქონდა, ხელში ჩატოვებული სხვისი შვილი იტვირთა და გამოზარდა. თხუთმეტის წლის შემდეგ, ხერხიან მეგრელს განათლებული შვილი დაუბრუნდა შინ!.. ამისი არ იყოს, ორი ამგვარი სხვა მაგალითიც ვიცი, ამ ჩემ ნახსოვრობაში რომ მოჰხდა. იმერეთში დოქტორმა თოფურიამ არაფრისაგან, მხოლოდ ჭკუით, გამბედაობითა და სიმხნით საშვილიშვილო ძეგლად ააგო საავადმყოფო. და მეორე აქაც, ამერეთში ბატონმა ცხვედაძემ, როცა პედაგოგიური მოღვაწეობა ჩაიპენსიავა... არხიტექტორობას მიჰყო ხელი და არაფრისაგან, როგორც მოსემ უდაბნოში კვერთხის დაკვრით წყარო, სააზნაურო სკოლისათვის უზარ-მაზარი შენობა გამოატყვრინა, თავის-თავად დაბადა, ცოტა კიდეც წამოაჩიტა და ახლა რომ კიდეც მოგვატევოს და გამოგვაზდევიოს, იმ ზემოხსენებულ მეგრელისა არ იყოს, მაინც მადლობის ღირსია და არა საყვედურების. დღეს როდესაც დროთა ვითარებამ ისე დაგვანაცარქექიავა, რომ გულ-გატეხილებს იმედი და თუ დაგვრჩენია ნუგეშად, უნდა გამბედაობასა და იმედის შერჩენას ვუკიჟინებდეთ ვისმე? სწორე მოგახსენოთ, ამ წინდაუხედაობამ ზოგიერთა ჩვენებურ ყეფიაშვილებისამ ისე გამაბრიზა, რომ, ის-ის იყო, კინაღამ ჩავუწე ენა ნაღველში და მინდოდა ზოგიერთების ზურგზე და უნდა იყოს? ერთი სიტყვით, ზნეობრივი მოვალეობაა საზოგადოების შეგნებულ ნაწილისა რომ თუ ბევრი არა, ცოტა მაინც იზრუნონ ხალხის საკეთილ-დღეოდ. ყველას ზნე[illegible]ვი მოვალეობაა, ამ დაქვეითებულ [illegible]ხს მიხედოს, მაგრამ არა ცარიელ სიტყვით, როგორც ქართველებს გვჩვევია, არამედ საქმითაც.

—

ქვემო იმერეთში არსებობს შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი, (ქუთაისის მაზრაში ოცამდეა), რომელნიც ძალიან დახმარებას უწევენ მშრომელ გლეხ-კაცობას. ეს სიმპატიური დაწესებულება ძალიან ძვირად მოიპოვება ზემო-იმერეთში (მგონი სულაც არაა ჯერ შორაპანის მაზრაში.), რომელიც ერთ უპირველეს ნაკლულევანებათ უნდა ჩაითვალოს.

ძრიელ საჭიროა ასეთ ამხანაგობათა დაარსება და მნაქციონ ყურადღება ზემო სოფლებში იმათ, ვისაც კი შესტკივა ხალხისთვის გული და სწავლაც თაოსნობის ნებას აძლევს. ასეთი ამხანაგობა თითო საბოქაულოში რომ თითო დაარსდეს, დიდად წინ წაიწევს მშრომელი ხალხი.

ლადო გუბელი.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. გ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

В. М. МИРИМАНІАНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—3)





ა მ ე რ ი კ ი ს

## ავტომობილები

ბენზინით მოძრავი

## ველოსიპედები

ბენზინის მატორებით.

Акц. О-во „ЭНФИЛЬД“

МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.

СПБ. Морская, № 30.

(10—6—10).






მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდონბირინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.



გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

НАРОДНАЯ МЕДИЦИНА

въ Закавказскомъ краѣ, ი. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

(2—141—2).



GRAND PRIX PARIS 1900.

Т—во Высшей парфюмеріи А. Ралле и К°

Одеколонъ „Кристаль“



გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაჩი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.


## ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 ივნისისათვის, 1904 წლისა.

აქტივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული). | 27799 | 28 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრედიტო დაწესებ. | 40374 | 56 |
| III. | პირობა ვადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | 1030 | 29 |
| IV. | სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: . 1591—76; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი 8379—50 | 9971 | 26 |
| V. | სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . | 8567 | 24 |
| VI. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი | 289887 | 50 |
| VII. | სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით. . . . . . | 500 | — |
| VIII. | პროტესტ-ქმნილი ვექსილები. . . | 3725 | — |
| IX. | განაღდება ვადიანი ქაღალდებისა, კუპ. და სხვ. . . . . . | — | — |
| X. | გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს ღ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . 20496—50; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ. 53906—00; გ) საქონელზედ . . . 23259—50; დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 8779—00 | 106441 | — |
| XI. | %% კუპ., %% ქაღ. სათ. თანხ. საკუთ. | 1 | 64 |
| XII. | დასაბრუნებელი ხარჯი . . . | 225 | 96 |
| XIII. | მოწყობა და მომართვა . . . | 2073 | 51 |
| XIV. | კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 85907—40; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 37593—17 | 123500 | 57 |
| XV. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ. | 328 | 92 |
| XVI. | სხვა-და-სხვა დებიტორები . . . | 556 | 60 |
| XVII. | მიმდინარე ხარჯები . . . | 8230 | 05 |
| | ბალანსი | 623213 | 38 |

პასივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 805 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან. | 90201 | — |
| II. | სათადარიგო თანხა: . . . | 9386 | 38 |
| III. | შემოტანილი თანხა: ა) მიმდინარე ანგარიშით . 167866—70; ბ) ვადით . . . 146803—39; გ) უვადოთ . . 1164—48 | 315834 | 57 |
| IV. | გარდამავალი თანხა . . . . | 2118 | 38 |
| V. | გარდასახდელი სარგებელი . . . | 600 | 31 |
| VI. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . | 43 | 95 |
| VII. | წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად . . . | 806 | — |
| VIII. | გასაგზანათ მიღებული თანხა . . | 1081 | — |
| IX. | კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 40714—28; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 59181—39 | 99895 | 67 |
| X. | სპეციალ. მიმდინარე ანგარიში სახელმ. ბანკის ტფილისის განყოფ. , . | 20000 | — |
| XI. | გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ. ბანკის განყოფილებაში . 26550—00; სხვა ბანკებში . . . 38670—00 | 65220 | — |
| XII. | წაუღებელად დივიდენდი წარსულ წლ. | 3355 | — |
| XIII. | მიღებული სარგებელი . . . | 10999 | 24 |
| XIV. | 1903 წლის წაუღებელი დივიდენდი. . | 3605 | 91 |
| XV. | მოგება და ზარალი 1904 წლისა . . | 40 | — |
| XVI. | გაუყოფელი დარჩომილი ფული 1903 წ. | 25 | 97 |
| | ბალანსი. | 623213 | 38 |
| | პასუხის-მგებლობა 805 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდა . . . . | 811809 | -- |
| | საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება . . . . . . | 7800 | — |
| | თამასუქები საკომისიოდ. . . . . | 11873 | 87 |


Feriencolonien. Colonie des vacances.

„პ ა ტ ა რ ა - ც ე მ ი“-ს

## საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონივრება და სხეულის გამაგრება

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული ორი თვე: 15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—15)



საუკეთესო სააგარაკო ადგილები

## ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

## ისყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—6)





## ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის საფექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსწრაფელ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

СПП

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს.



## ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ს

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ე რ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—2).


Дозволено цензурою Тифлисъ 12 іюня 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарій